**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

10 დეკემბერი, 2024 წელი

**ბრძანება N 01-02/207**

**ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" (2024 წლის მიღება) საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა"** მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 სექტემბრის N01-08/640 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ცენტრის დირექტორის 2024 წლის 09 დეკემბრის N1576484 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. **ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" შეიქმნას საკვალიფიკაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:**

ა) **მადონა მიქელაძე** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **მანანა პატარაია** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

გ) **მამუკა გოგელია** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი (პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების კოორდინატორის), კომისიის წევრი;

დ) **ლაშა მელაძე** - ,,ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება" , ხელმძღვანელი, დამსაქმებელი;

ე) **ლევან კეკელიძე** - ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობის მენეჯერი, დამსაქმებელი;

ვ) **გიგა დათუნაიშვილი** - ა(ა) იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე მეურნეობების აგრონომი, დამსაქმებელი;

ზ) **ჯიმშერ დიასამიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარების განყოფილების უფროსი, პროფესიული განათლების მასწავლებელი; პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" განმახორციელებელი პირი, დამსაქმებელი;

2. კომისიამ იხელმძღვანელოს **,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანებით,** მსმენელების პირადი საქმეებით და წინამდებარე ბრძანებით.

3. კომისიამ იმუშაოს 2024 წლის 12 დეკემბერს, დღის **12:00** საათიდან **17:00** საათამდე.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,რექტორის აქტები" და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი").

5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და კომისიის წევრებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,**
**პროფესორი** **მერაბ ხალვაში**